193872

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (87) დეკემბერი 1958 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

1. კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

2. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

3. საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

4. კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77, 86, 87, 88 და 148 მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

5. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

6. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან ამბ. გ. ა. ალავიძის განთავისუფლების თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად ამბ. შ. ი. ჯანუკვაძის დანიშვნის თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ ვაჭრობის საკავშირო—რესპუბლიკური სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის რესპუბლიკურ სამინისტროდ.

9. ბრძანებულება იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გუმათის № 1 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე.

10. ბრძანებულება საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს მეშაკათა თვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებაში ნაწილობრივი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სოფლის, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებაში ნაწილობრივი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

1947

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ნორმების შესახებ.

14. ბრძანებულება ამხ. შ. ი. ჯანუყაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

15. ბრძანებულება ამხ. გ. ა. ალავიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან.

16. ბრძანებულება იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მინგეჩაურჰეს—თბილისის 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

1. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მომზადებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მიერ შეტანილი შესწორებებით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში აღნიშნული და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მიიღოს მათ გარშემო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 10 იანვარი.

2. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად მიღებული ცვლილებებით: შემოსავლის ნაწილში 5.776.340 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 5.776.340 ათასი მანეთის ოდენობით, და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1960 წლის 1 იანვრისათვის 155.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სულ 5.031.061 ათასი მანეთის ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასაველი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად—მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის. საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის საერთო თანხით —2.533.904 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის—საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, საფაბრიკო-სავარხნო სწავლების სკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის, გაზეთლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის—სულ 2.908.134 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვაზე—182.838 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1959 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი—5.164.180 ათასი მანეთი, გასავალი 3.555.503 ათასი მანეთი. ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 1.608.677 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1960 წლის 1 იანვრისათვის 90.170 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1959 წლის ბიუჯეტები შემდეგი თანხებით:

(ათასი მანეთობით)

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან	მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1960 წლის 1 იანვრისათვის
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . .	217.635	159.144	—	217.635	6.529
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	164.589	120.225	—	164.589	4.938
3 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	84.681	39.580	38.360	84.681	2.540
4. ქალაქი თბილისი	652.896	353.835	—	652.896	13.272
5. ქალაქი ცუთაისი	82.098	37.283	—	82.098	1.642

ეროვნული ბიბლიოთეკა

		მათ შორის			
	შეფისებული	ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან	ფოტოგადაღებული ნაწილი	გასაცემი	საბოლოოდ გადასახადი ნაშთი 1 წლის 1 იანვრისთვის
6. ქალაქი ფოთი	27.831	19.672	—	27.831	835
7. ქალაქი ჭიათურა	28.556	24.029	—	28.556	1.315
8. ქალაქი რუსთავი	34.723	25.478	—	34.723	694
9. ქალაქი გორი	19.966	7.511	—	19.966	399
10. აბაშის რაიონი	12.619	10.615	—	12.619	551
11. ადიგენის რაიონი	9.911	4.210	4.915	9.911	399
12. ამბროლაურის რაიონი	14.113	7.322	5.696	14.113	598
13. ასპინძის რაიონი	9.364	1.251	7.770	9.364	331
14. ახალქალაქის რაიონი	27.595	20.048	5.217	27.595	909
15. ახალციხის რაიონი	22.062	16.885	—	22.062	608
16. ანმეტის რაიონი	14.286	8.739	4.504	14.286	533
17. ბოგდანოვკის რაიონი	11.626	5.330	5.506	11.626	485
18. ბოლნისის რაიონი	15.613	10.091	5.691	15.613	535
19. ბორჯომის რაიონი	18.014	13.524	—	18.014	490
20. გეგეჭკორის რაიონი	25.891	11.645	12.794	25.891	981
21. გორის რაიონი	23.017	20.475	—	23.017	1.006
22. გურჯაანის რაიონი	22.822	19.447	—	22.822	718
23. დმანისის რაიონი	13.401	6.087	6.317	13.401	643
24. დუშეთის რაიონი	18.970	4.259	13.023	18.970	706
25. ვანის რაიონი	14.455	6.187	6.898	14.455	638
26. ზესტაფონის რაიონი	23.288	19.843	—	23.288	794
27. ზუგდიდის რაიონი	38.431	33.344	—	38.431	1.216
28. თეთრი წყაროს რაიონი	16.852	5.020	9.942	16.852	705
29. თელავის რაიონი	24.651	20.055	—	24.651	725
30. თეროჟოლის რაიონი	10.498	4.651	5.043	10.498	456
31. თიანეთის რაიონი	10.633	2.945	7.220	10.633	355
32. კასპის რაიონი	20.260	16.337	—	20.260	682
33. კაკრეთის რაიონი	14.132	6.408	7.189	14.132	441
34. ლაგოდეხის რაიონი	17.180	14.678	—	17.180	686
5. ლენინგორის რაიონი	16.012	12.383	—	16.012	604
35. ლენტეხის რაიონი	10.211	1.035	8.945	10.211	291
37. ძაიაკოვსკის რაიონი	11.676	4.995	5.848	11.676	496
38. მარნეულის რაიონი	21.775	18.762	—	21.775	786
39. მახარაძის რაიონი	31.603	24.568	—	31.603	1.039
40. მესტიის რაიონი	11.651	2.053	9.236	11.651	395
41. მცხეთის რაიონი	12.734	8.687	—	12.734	490
42. ონის რაიონი	13.294	4.053	8.027	13.294	463

ეროვნული ბიბლიოთეკა

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან	დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სესხების გარეშე დადები ნაშთი 1959 წლის 1 იანვრისთვის
43. ორჯონიკიძის რაიონი	18.027	5.227	11.532	18.027	628
44. საგარეჯოს რაიონი	13.302	11.397	—	13.302	543
45. სამტრედიის რაიონი	21.765	13.888	—	21.765	736
46. საჩხერის რაიონი	12.614	3.120	8.465	12.614	514
47. სიღნაღის რაიონი	18.051	14.544	—	18.051	645
48. ტყიბულის რაიონი	19.560	16.149	—	19.560	573
49. ქარელის რაიონი	16.440	14.721	—	16.440	660
50. ქუთაისის რაიონი	12.756	9.444	—	12.756	592
51. ყაზბეგის რაიონი	9.392	1.583	7.539	9.392	262
52. ყვარლის რაიონი	13.844	8.889	3.665	13 844	520
53. ჩოხატაურის რაიონი	19.779	7.165	11.311	19.779	652
54 ჩხოროწყუს რაიონი	12.375	8.112	3.482	12.375	521
55. ცაგერის რაიონი	12.567	7.235	4.120	12.567	484
56. ცხაკაიას რაიონი	22.001	18.358	—	22.001	715
57. წალენჯიხის რაიონი	14.422	11.168	2.187	14.422	542
58. წალკის რაიონი	16.919	9.030	6.422	16.919	751
59 წითელწყაროს რაიონი	12.618	10.196	—	12.618	390
60. წულუკიძის რაიონი	18.148	6.155	9.935	18.148	556
61. წყალტუბოს რაიონი	12.481	7.388	—	12.481	429
62. ხაშურის რაიონი	20.499	16.590	—	20.499	688
63. ხობის რაიონი	11.662	5.412	5.443	11.662	510
ს უ ლ	2.220.837	1.358.435	250.242	2.220.837	64.830

დამტკიცდეს 1959 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან 100 პროცენტი;

ბ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100 პროცენტი;

გ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

	ანარიცხების პროცენტები				
	მოსახელეობის საშემოსავლო გადასახადიდან	ყოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან	საკავშირო-საშემოსავლო გადასახადიდან	სარეზერვო, ეროვნული ეკონომიკის დაფინანსებისა და მეცნიერული ლაბორატორიების ფონდიდან	ბარონების გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	45	100	100	85	12.2
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	45	100	100	95	15.6
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	100	100	100	100	100.0
4. ქალაქი თბილისი	43	100	75	100	7.7
5. ქალაქი ქუთაისი	20	—	—	100	7.5
6. ქალაქი ფოთი	40	—	100	100	28.8
7. ქალაქი ქიათურა	20	100	100	100	58.6
8. ქალაქი რუსთავი	40	—	—	100	50.1
9. ქალაქი გ ო რ ი	20	—	—	50	6.9
10. აბაშის რაიონი	50	100	100	100	90.9
11. ადიგენის რაიონი	100	100	100	100	100.0
12. ამბროლაურის რაიონი	100	100	100	100	100.0
13. ასპინძის რაიონი	100	100	100	100	100.0
14. ახალქალაქის რაიონი	100	100	100	100	100.0
15. ახალციხის რაიონი	50	100	100	100	26.9
16. ახმეტის რაიონი	100	100	100	100	100.0
17. ბოგდანოვკის რაიონი	100	100	100	100	100.0
18. ბოლნისის რაიონი	100	100	100	100	100.0
19. ბორჯომის რაიონი	50	100	100	100	30.1
20. ჟიგეჟორის რაიონი	100	100	100	100	100.0
21. გ ო რ ი ს რაიონი	50	100	100	100	36.8
22. გურჯაანის რაიონი	50	100	100	100	75.8
23. დმანისის რაიონი	100	100	100	100	100.0
24. დუშეთის რაიონი	100	100	100	100	100.0
25. ვანის რაიონი	100	100	100	100	100.0
26. ზესტაფონის რაიონი	50	100	100	100	16.5
27. ზუგდიდის რაიონი	50	100	100	100	13.3
28. თეთრიწყაროს რაიონი	100	100	100	100	100.0
29. თელავის რაიონი	50	100	100	100	24.6
30. თერჯოლის რაიონი	100	100	100	100	100.0
31. თიანეთის რაიონი	100	100	100	100	100.0
32. კასპის რაიონი	50	100	100	100	47.7
33. კაჩარეთის რაიონი	100	100	100	100	100.0
34. ლაგოდეხის რაიონი	50	50	100	100	25.4
35. ლანჩხუთის რაიონი	50	80	100	100	8.5
36. ლენტეხის რაიონი	100	—	100	100	100.0
37. მარაჯოვსკის რაიონი	100	100	100	100	100.0
38. მარნეულის რაიონი	50	100	100	100	22.0
39. მახარაძის რაიონი	20	50	50	100	10.5
40. მესტიის რაიონი	100	—	100	100	—
41. მეტეხის რაიონი	50	100	100	100	51.2
42. ონის რაიონი	100	100	100	100	100.0
43. ორჯონიკიძის რაიონი	100	100	100	100	100.0
44. საგარეჯოს რაიონი	80	100	100	100	97.0
45. სამტრედიის რაიონი	50	100	100	100	10.7
46. სარჩერის რაიონი	100	100	100	100	100.0
47. სიღნაღის რაიონი	50	100	100	100	25.9
48. ტყიბულის რაიონი	75	100	100	100	67.5
49. ქარელის რაიონი	50	100	100	100	81.0
50. ქუთაისის რაიონი	50	100	100	100	89.5
51. ყაზბეგის რაიონი	100	100	100	100	100.0
52. ყვარლის რაიონი	100	100	100	100	100.0
53. ჩოხატაურის რაიონი	100	100	100	100	100.0

ეროვნული ბიბლიოთეკა

	ანარიცხების პროცენტები				
	მიმსახურეობის საშემოსავლო გადასახადიდან	ეროვნული ნაშემოსავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრ უფლება, ბეჭრო, ბარტყისა და მეფრინველეობის მიწოლობის გადასახადიდან	ბრუნვის გადასახადიდან
54. ჩხოროწყუს რაიონი	100	100	100	100	100.0
55. ცაგერის რაიონი	100	100	100	100	100.0
56. ცხაკაიას რაიონი	50	100	100	100	33.4
57. წალენჯიხის რაიონი	100	100	100	100	100.0
58. ზალკის რაიონი	100	100	100	100	100.0
59 ზითუდწყაროს რაიონი	50	100	100	100	88.4
60. ზუსუკეძის რაიონი	100	100	100	100	100.0
61. ზყალტუბოს რაიონი	50	100	100	100	44.0
62. ხაშურის რაიონი	50	100	100	100	67.4
63. ხობის რაიონი	100	100	100	100	100.0

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 10 ივნვარი.

3. საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლებში — 5.000.327 ათასი მანეთის, ხარჯებში — 4.958.282 ათასი მანეთის ოდენობით, შემოსავლების ხარჯებზე 42.045 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 10 ივნვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77, 86, 87, 88 და 148 მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ამოღებულ იქნას საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77, 86, 87 და 88 მუხლებიდან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების კონკრეტული საარჩევნო ნორმები და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) აღნიშნული მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 77. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოქალაქენი ორი წლის ვადით იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც აწესებს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ“.

„მუხლი 86. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები აირჩევიან იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც აწესებს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ“.

„მუხლი 87. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები და დიდი ქალაქების რაიონული საბჭოები აირჩევიან იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც აწესებს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ“.

„მუხლი 88. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები აირჩევიან იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც აწესებს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ“.

2. „სასამართლოს წესით საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევის გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის 25 დეკემბრის კანონის შესაბამისად შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 148 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 148. დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ-ის ყველა მოქალაქეს, რომელსაც კი 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატთა არჩევნებში, გარდა იმ პირებისა, რომელნიც კანონით დადგენილი წესით ცნობილნი არიან შშზლილებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 10 იანვარი.

5. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 3 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ვაჭრობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ ვაჭრობის რესპუბლიკური სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ".

2. ამ კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55 და 56 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 55.** საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

თავდაცვისა;
კავშირგაბმულობისა;
კულტურისა;
საგარეო საქმეთა;
სოფლის მეურნეობისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ჯანმრთელობის დაცვისა".

„**მუხლი 56.** საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ადგილობრივი მეურნეობისა;
განათლებისა;
ვაჭრობისა;
იუსტიციისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობისა;
საავტომობილო ტრანსპორტისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
წყალთა მეურნეობისა".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 10 იანვარი.

6. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან ამხ. გ. ა. ალავიძის განთავისუფლების თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 8 იანვრის ბრძანებულება ამხ. გიორგი არტემის-ძე ალავიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან, სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 10 იანვარი.

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად ამხ. შ. ი. ჭანუყვაძის დანიშვნის თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 8 იანვრის ბრძანებულება ამხ. შოთა ილარიონის-ძე ჭანუყვაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 10 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გრძანებულებანი

8. გრძანებულება საქართველოს სსრ ვაჭრობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის რესპუბლიკურ სამინისტროდ

„სსრ კავშირის ვაჭრობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 29 ნოემბრის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ ვაჭრობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს გარდაიქმნას საქართველოს სსრ ვაჭრობის რესპუბლიკურ სამინისტროდ.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55 და 56 მუხლების სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 3 დეკემბერი.

9. გრძანებულება იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გუმათის № 1 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე

გუმათის № 1 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით მშენებლობის შემდეგი მონაწილენი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

1. ბიბილაშვილი მელქო ალფეზის-ძე — საქართველოს კპ ქუთაისის რაიკომის პირველი მდივანი
2. დადიანი კონსტანტინე პეტრეს-ძე — გუმათჰესმშენის მთავარი ინჟინერი
3. დოცენკო გრიგოლ პავლეს-ძე — ტრესტ „ჰიდრომონტაჟის“ მემონტაჟეთა ბრიგადირი
4. დიულგაროვი ოლიმპე ვასილის-ძე — გუმათჰესმშენის მბურღავთა ბრიგადირი
5. ვახრუშვილი პანტელეი გრიგოლის-ძე — გუმათჰესმშენის პროფკავშირის სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ვოლკოვი სტეფანე ფილატეს-ძე — გუმათჰესმშენის მეარმატურე
7. ვოლობუევი გიორგი ონოფრეს-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტომანქანის მძღოლი
8. ზიაბკინი ივანე ექვთიმეს-ძე — გუმათჰესმშენის მეარმატურეთა ბრიგადირი
9. კავკასიძე სერგი კონსტანტინეს-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მთავარი ინჟინრის მოადგილე
10. კატონი ანტონ იოსების-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველოს ბულდოზერის მემანქანე
11. კილაბერია არდამიონ ვლადიმერის-ძე — გუმათჰესმშენის მებეტონეთა მერგოლური
12. კიტაევი მიხეილ ნიკიტას-ძე — ტრესტ „ჰიდრომონტაჟის“ ზეინკალი-მემონტაჟე
13. კლენტუხი გიორგი გიორგის ძე — ტრესტ „სპეცჰიდრომონტაჟის“ ზეინკალი
14. ლოხმატიკოვი გიორგი პროკოფის-ძე — ტრესტ „სპეცჰიდრომონტაჟის“ უბნის უფროსი
15. მელიქიძე შოთა ვლადიმერის-ძე — გუმათჰესმშენის მეარმატურე
16. მერაბიშვილი შალვა ვლადიმერის-ძე — „გუმათჰესის“ პროექტის მთავარი ინჟინერი
17. მესხი დიმიტრი ალექსანდრეს-ძე — გუმათჰესმშენის მებეტონე
18. ნაბორიშვილი ზურაბ გიორგის-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მაღალი ძაბვის ქსელების მშენებლობის სამმართველოს ელექტრომონტიორი
19. ნუცუბიძე ბიძინა ნიკოლოზის-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ ქუთაისის საწარმოო კომბინატის მებეტონეთა ბრიგადირი
20. პროლეტარსკი ევგენი ვლადიმერის-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მაღალი ძაბვის ქსელების მშენებლობის სამმართველოს ელექტრომონტიორთა ბრიგადირი
21. რამიშვილი რევაზ რაფიელის-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველოს საექსკავატორო კოლონის უფროსი
22. რუბანი ნინო მიხეილის ასული — გუმათჰესმშენის მუშა
23. სავჩუკი გრიგოლ ილიას-ძე — გუმათჰესმშენის ელექტრომონტიორი
24. სავოვი ნიკოლოზ ანტონის-ძე — „გუმათჰესის“ მშენებლობის მეარმატურე
25. სვანაძე ვარლამ ეფრემის-ძე — გუმათჰესმშენის პარტბიუროს მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. სილენკო დიმიტრი ეგნატეს-ძე — გუმათჰესმშენის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი
27. ტაბატაძე კუკური შალვას-ძე — გუმათჰესმშენის მღარავი
28. ტაბიძე ლეონიდე გიორგის-ძე — ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
29. ქოქოსაძე თამაზ გრიგოლის-ძე — გუმათჰესმშენის უბნის უფროსი
30. ყავლაშვილი ვასილ ტიმოთეს-ძე — გუმათჰესმშენის უფროსი
31. ყაზარიანი ვიგენ იაკობის-ძე — ტრესტ „ჰიდრომონტაჟის" ამიერკავკასიის უბნის უფროსი
32. ჩერნოვა ანასტასია ტრიფონის ასული — გუმათჰესმშენის კომპრესორის მემანქანე
33. ჩილინგარიანი რაფიკ აკოფის-ძე — ტრესტ „სპეცჰიდროკომბინატის" ელექტროშემდუღებელი
34. ჩუბინიძე ვალერიან რაჟდენის-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" მთავარი იხტენერი
35. ხარიტოვი კონსტანტინე ექვთიმეს-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე
36. ჯიშკარიანი შოთა გაბრიელის-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტომანქანის მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 7 დეკემბერი.

10. ბრძანებულება საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლისა:

1. აბზიანიძეს ვასილ დიმიტრის-ძეს — ქ. თბილისის № 5 სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს
2. მაისაშვილს ბენედიქტე ივანეს-ძეს — დაბა სურამის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის № 14 სასწავლებლის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატისა:

1. ზედელაშვილს ალექსანდრე ზაქარიას-ძეს — მ. თოიძის სახელობის ქ. თბილისის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლის უფროს ოსტატს
2. კერესელიძეს ილარიონ სოლომონის-ძეს — მ. თოიძის სახელობის ქ. თბილისის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს
3. კვერნაძეს ვალერიან ალექსის-ძეს — ქ. წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის № 9 სასწავლებლის უფროს ოსტატს
4. ლიპარტიას პეტრე იაკობის-ძეს — ქ. თბილისის № 5 სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს
5. ღოლოძეს ალექსანდრე ვარლამის-ძეს — ქ. რუსთავის № 3 სახელოსნო სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 10 დეკემბერი.

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებაში ნაწილობრივი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიცვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადა და დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე ინიშნება არა უგვიანეს 45 დღისა არჩევნებამდე ნაცვლად არჩევნების დებულებით გათვალისწინებული ორი თვისა.

ამის შესაბამისად შეტანილ იქნას ცვლილებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შემდეგ მუხლებში:

ა) დებულების 19 და 53 მუხლებში სიტყვები „30 დღით“ შეიცვალოს სიტყვებით „20 დღით“;

ბ) დებულების 26 და 63 მუხლებში სიტყვები „ორი თვისა“ შეიცვალოს სიტყვებით „45 დღისა“.

გ) დებულების 28 მუხლში სიტყვები „45 დღისა“ შეიცვალოს სიტყვებით „30 დღისა“;

დ) დებულების 37 მუხლში სიტყვები „55 დღისა“ შეიცვალოს სიტყვებით „40 დღისა“;

ე) დებულების 41 მუხლში სიტყვები „50 დღისა“ შეიცვალოს სიტყვებით „35 დღისა“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) დებულების 45 მუხლში სიტყვები „40 დღისა“ შეიცვალოს სიტყვებით „25 დღისა“;

ზ) დებულების 57 მუხლში სიტყვები „25 დღისა“ შეიცვალოს სიტყვებით „15 დღისა“;

თ) დებულების 59 მუხლში სიტყვები „15 დღისა“ შეიცვალოს სიტყვებით „3 დღისა“;

ი) დებულების 64 მუხლში სიტყვები „არჩევნების წინ უკანასკნელი 20 დღის განმავლობაში საუბნო საარჩევნო კომისია ყოველდღე აქვეყნებს“ შეიცვალოს სიტყვებით „არა უგვიანეს 10 დღისა არჩევნებამდე საუბნო საარჩევნო კომისია აქვეყნებს“.

2. არჩევნების დებულების 45 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი თავისუფლდება არჩევნების დროისათვის ძირითადი სამუშაოსაგან ორი კვირით, სამუშაოს ადგილზე ხელფასის შენახვით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 31 დეკემბერი.

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებაში ნაწილობრივი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში მშრომელთა ფართო მასების უფრო მეტად ჩაბმის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობაში დეპუტატთა რიცხვის ერთგვარი გადიდება. ამის შესაბამისად შეტანილ იქნეს ცვლილებები „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების“ 25, 33, 41 და 49 მუხლებში, რომლებიც ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 25. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქებს ქმნის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი ნორმით—ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 1000 მცხოვრებზე“.

„მუხლი 33. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქებს ქმნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები შემდეგი ნორმებით:

იმ რაიონში, რომლის მოსახლეობა 30 ათას კაცს აღემატება—ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 750 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 80 ოლქისა;

იმ რაიონში, რომლის მოსახლეობა 30 ათას კაცამდეა, იქმნება 40 საარჩევნო ოლქი“.

„მუხლი 41. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქების რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების ქმნიან შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები შემდეგი ნორმებით:

იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 12 ათას კაცამდეა, იქმნება 50 საარჩევნო ოლქი; იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 3 ათას კაცამდეა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით შეიძლება შეიქმნას 50-ზე ნაკლები ოლქი;

იმ ქალაქებში სადაც მოსახლეობა 12 ათასიდან 30 ათას კაცამდე—ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 250 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 100 საარჩევნო ოლქისა;

იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 30 ათასიდან 100 ათას კაცამდეა—ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 300 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 250 ოლქისა;

იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 100 ათასიდან 150 ათას კაცამდეა—ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 400 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 300 ოლქისა;

ქალაქ თბილისში—ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 1500 მცხოვრებზე.

ქალაქ თბილისის რაიონებში—ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 500 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 250 საარჩევნო ოლქისა“.

მუხლი 49. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქებს ქმნიან შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები შემდეგი ნორმებით: ერთი საარჩევნო ოლქი ყოველ 75 მცხოვრებზე, მაგრამ არა ნაკლებ 20 და არა უმეტეს 50 ოლქისა; იმ სასოფლო და სადაბო საბჭოებში, სადაც მოსახლეობა 500 კაცამდეა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით შეიძლება შეიქმნას 20—ზე ნაკლები ოლქი“.

2. შემცირდეს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადა და დაწესდეს, რომ ამ საბჭოების არჩევნების დღე ინიშნება არა უგვიანეს 45 დღისა არჩევნებამდე ნაცვლად არჩევნების დებულებით გათვალისწინებული ორი თვისა. ამის შესაბამისად შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებაში:

ა) დებულების 19 და 72 მუხლებში სიტყვები „30 დღით“ შეიცვალოს სიტყვებით „20 დღით“;

ბ) დებულების 26, 28, 34, 36, 42, 44, 50 და 52 მუხლებში სიტყვები „55 დღისა“ შეიცვალოს სიტყვებით „40 დღისა“;

გ) დებულების 31, 39, 47 და 55 მუხლებში სიტყვები „50 დღისა“ შეიცვალოს სიტყვებით „35 დღისა“;

დ) დებულების 58 მუხლში სიტყვები „45 დღისა“ შეიცვალოს სიტყვებით „30 დღისა“;

ე) დებულების 66 მუხლში სიტყვები „40 დღისა“ შეიცვალოს სიტყვებით „25 დღისა“;

ვ) დებულების 73 მუხლში სიტყვები „20 დღისა“ შეიცვალოს სიტყვებით „15 დღისა“;

ზ) დებულების 77 მუხლში სიტყვები „25 დღისა“ შეიცვალოს სიტყვებით „15 დღისა“ და სიტყვები „15 დღისა“ სიტყვებით „10 დღისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) დებულების 79 მუხლში სიტყვები „10 დღისა“ შეიცვალოს სიტყვებით „3 დღისა“;

ი) დებულების 83 მუხლში სიტყვები „ორი თვისა“ შეიცვალოს სიტყვებით „45 დღისა“;

კ) დებულების 84 მუხლში სიტყვები „არჩევნებამდე დარჩენილი უკანასკნელი 15 დღის განმავლობაში საუბნო საარჩევნო კომისია ყოველდღე ფართოდ აცნობს“ შეიცვალოს სიტყვებით „არა უგვიანეს 10 დღისა არჩევნებამდე საუბნო საარჩევნო კომისია ფართოდ აცნობს“.

3. არჩევნების დებულების 66 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი თავისუფლდება არჩევნების დროისათვის ძირითადი სამუშაოსაგან ორი კვირით, სამუშაო ადგილზე ხელფასის შენახვით“.

4. არჩევნების დებულების 119 მუხლში სიტყვები „ზემდგომი საბჭოს“ შეიცვალოს სიტყვებით „შესაბამისი საბჭოს“.

5. დებულების 55 მუხლში სიტყვები: „სასოფლო, სადაბო საბჭოს“ შეიცვალოს სიტყვებით „სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი“.

6. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლებების გაფართოების მიზნით დაწესდეს, რომ საოლქო, რაიონული, საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქების რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიებს ამტკიცებს იმ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაც უნდა იყოს არჩეული.

ამის შესაბამისად შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება დებულების 28, 36 და 44 მუხლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 31 დეკემბერი.

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ნორმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მიზანშეუწონლად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების კონკრეტული საარჩევნო ნორმების ჩამოთვლის შემდგომი დატოვება საქართველოს სსრ კონსტიტუციაში.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციაში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 31 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ბრძანებულება ამხ. შ. ი. ჭანუყვაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. შოთა ილარიონის-ძე ჭანუყვაძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 8 იანვარი.

15. ბრძანებულება ამხ. გ. ა. ალავიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი არტემის-ძე ალავიძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 8 იანვარი.

16. ბრძანებულება იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მინგეჩაურჰეს — თბილისის 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაზე

მინგეჩაურჰეს — თბილისის 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით მშენებლობის ის მონაწილენი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

1. ალექსიძე ოთარი ივანეს-ძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ ლითონის კონსტრუქციების ქარხნის ზეინკალი-ამწყობი
2. ბოკერია შალვა ივანეს-ძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მოწყობილობის განყოფილების უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ბორჩხაძე ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ ლითონის კონსტრუქციების ქარხნის დირექტორი

4. გოგუაძე ლევან არსენის-ძე — № 1 მექანიზებული კოლონის მთავარი ინჟინერი

5. გუსეინოვი ტელმან საფარ ოღლი — № 5 სამონტაჟო უბნის ელექტრომონტიორი—მაღლამსვლელი

6. დოლგოვი ალექსი პეტრეს-ძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ ატკ-ს ავტოამწეს მძღოლი

7. იმნაიშვილი ალექსანდრე შალვას-ძე — № 8 მექანიზებული კოლონის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი

8. იორამაშვილი მიხეილ გიორგის-ძე — № 8 მექანიზებული კოლონის ტრაქტორისტი

9. კემულარია ილია მიხეილის-ძე — „საქენერგოპროექტის“ უფროსი

10. კობახიძე დიმიტრი გრიგოლის-ძე — „საქენერგოპროექტის“ საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი

11. კუდუხოვი გრიგოლ დიმიტრის-ძე — ხაზის ელექტრომონტიორი—მაღლამსვლელი

12. ლეკაშვილი ვასილ სპირიდონის-ძე — „საქენერგოს“ ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი ინჟინერი

13. მალჩევსკი ვასილ ივანეს-ძე — № 8 მექანიზებული კოლონის მეეკსკავატორე

14. მამნიაშვილი ალექსანდრე ბაგრატის-ძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ ატკ-ს ტრაქტორისტი

15. მიქაბერიძე ალექსანდრე სერგის-ძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მმართველი

16. ნაროზნიკოვი კონსტანტინე გრიგოლის-ძე — № 4 სამონტაჟო უბნის ბრიგადირი

17. საფაროვი ჯულინუდ ასლანის-ძე — № 5 სამონტაჟო უბნის უფროსი

18. სოლდაძე იაკობ იპოლიტეს-ძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ ლითონის კონსტრუქციების ქარხნის ზეინკალი—ამწყობი

19. სტეფანენკო ვლადიმერ დიმიტრის-ძე — № 4 სამონტაჟო უბნის ბრიგადირი

20. სუხიაშვილი შოთა ალექსანდრეს-ძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ ატკ-ს მანქანის მძღოლი

21. ტრეშჩევი ნიკოლოზ პანტელეიმონ-ძე — ქვესადგურ „დიდი ნავთლუღის“ უფროსი ოსტატი

22. შანავა ლიუსენ გრიგოლის-ძე — № 1 მექანიზებული კოლონის ელექტრომონტაჟისტთა ბრიგადირი

23. წერეთელი გიორგი სიმონის-ძე — № 1 მექანიზებული კოლონის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი

24. წულუკიძე გრიგოლ კონსტანტინეს-ძე — № 4 სამონტაჟო უბნის მთავარი ინჟინერი

25. ხაჩიძე სერგი მიხეილის-ძე — № 4 სამონტაჟო უბნის ელექტრომონტაჟისტთა ბრიგადირი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 16 იანვარი.